საქართველოს კანონი

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №1-2 (33-34/7), 22 იანვარი, 1997, გვ. 24) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-4 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) საქმიანობა – გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული საქმიანობა და „სამრეწველო ემისიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვისადმი დაქვემდებარებული საქმიანობა;“.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 35^1 მუხლი:

„მუხლი 35^1. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვა

„სამრეწველო ემისიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვისადმი დაქვემდებარებული საქმიანობისთვის აუცილებელია ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვა. ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვისადმი დაქვემდებარებული საქმიანობები და ამ ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება „სამრეწველო ემისიების შესახებ“ საქართველოს კანონით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2026 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

29 ივნისი 2023 წ.

N3384-XIმს-Xმპ